მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №31
2022 წლის 04 აპრილი
ქ. მარტვილი

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილის არჩევის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 32-ე მუხლის ,,ე“ ქვეპუნქტის, 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ივლისის №11 დადგენილების 107-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად

1. მიღებულ იქნეს ცნობად მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილედ დათო ხელაიას არჩევა.
2. საფუძველი: ფრაქციის ,,ერთიანი ნაციობნალური მოძრაობა“ 2022 წლის 16 მარტის სხდომის ოქმი №3.
3. განკარგულება გადაეგზავნოს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2022 წლის 16 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა